



ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union



KfW



აჭარის წყლის
ალიანსი

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

საინფორმაციო ბიულეტენი N28
ნოემბერი, 2022

წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურა აჭარის სოფლებში გენდერული საკითხის მოთხოვნებს ეხმიანება

გაბატონებული პატრიარქალური აღქმის შედეგად, ინფრასტრუქტურის გეგმარება ხშირად გენდერულად მიკერძოებულია და სათანადოდ არ ითვალისწინებს ნახევარი მოსახლეობის - ქალებისა და გოგონების სპეციფიკურ საჭიროებებს. ხშირად ინფრასტრუქტურული პროექტების მომზადებისას უგულებელყოფილია ქალების საჭიროებები, რაც შემდგომში გამოწვევებს ქმნის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ქალთა ეკონომიკური დამოუკიდებლობის, განათლებისა და ჯანმრთელობის მიმართულებით.

წარსულის წარუმატებლობისა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებული გამოცდილებიდან გამომდინარე, აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამის ფუნდამენტური მოთხოვნა დასახლების თითოეული წევრის აქტიური მონაწილეობაა.

თანაბარი შესაძლებლობების შექმნისა და მხარდაჭერის მიზნით, ქალებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ პროგრამის ირგვლივ საინფორმაციო, თემის მობილიზაციისა და სოციალური აქტივობების დროს.

შეხვედრების ორგანიზებისას ყოველთვის ხაზგასმულია ქალების აქტიური მონაწილეობის მნიშვნელობა, რადგან ქალები არიან წყლისა და წყალარინების სისტემების მომსახურების ძირითადი მომხმარებლები სახლებში, ასეუთავედენ რა სახლებს და მუშაობენ სამხარეო დონეზე და როგორც წესი, ზრუნავენ ოჯახის ჰიგიენასა და ჯანმრთელობის საკითხებზე.

გენდერული თანასწორობის მხარდასაჭერად, პროგრამის სოფლებში სოფლის მომხმარებელთა ჯგუფის საბჭოების შექმნის მთავარ წესს, საბჭოში ქალების ჩართულობა წარმოადგენდა. გენდერული თანასწორობის საკითხი მხედველობაში იქნება მიღებული მუნიციპალიტეტებში კომუნალური მომსახურების სამსახურების დაკომპლექტების, კანდიდატების შერჩევის დროს. დასაქმებული პერსონალის ნახევარი ქალი იქნება.

ინფრასტრუქტურის მდგრადი ფუნქციონირების და პროგრამაში ქალთა და მამაკაცთა საჭიროებების სათანადო ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად, ქალთა საჭიროებები გათვალისწინებული იქნება როგორც მუნიციპალურ საწარმოებში, ისე სოფლის მომხმარებელთა ჯგუფებსა, თუ საბჭოებში, რათა უფრო მეტი ქალი ჩაერთოს აქტიურად პროგრამაში.



ინფორმაცია პროგრამის შესახებ

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა თანადაფინანსებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ, KfW ბანკის მეშვეობით და ევროკავშირის მიერ. პროგრამა მიზნად ისახავს აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში შეიქმნას თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამას სს „აჭარის წყლის ალიანსი“ ახორციელებს. პროგრამა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის, ზოგადი ჰიგიენისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში. პროგრამა უზრუნველყოფს გარემოს დაცვას ჩამდინარე წყლებით დაბინძურების თავიდან არიდების გზით. ასევე, თავიდან იქნება არიდებული ნიადაგისა და წყლის რესურსების დაბინძურება გაუნმეზღავი ჩამდინარე წყლების ჩაშვებით.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, თვისებრივად პირველია საქართველოში რომელიც წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განვითარების ორგანიზებას ახდენს რეგიონის სოფლებში.



FICHTNER



IRC
Supporting water sanitation
and hygiene services for life



ეს საინფორმაციო ბიულეტენი შექმნილია ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სს „აჭარის წყლის ალიანსი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის შეხედულებებს.

კ. გამსახურდიას ქ. N1, ბათუმი, საქართველო
+995 422 27 86 86
info@awa.ge
www.awa.ge



ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union



KfW



აჭარის წყლის
ალიანსი

AJARA RURAL WATER AND WASTEWATER PROGRAMME

NEWSLETTER N28

NOVEMBER, 2022

Water and Wastewater Infrastructure in Rural Ajara is Gender Responsive

As a result of prevailing patriarchal perceptions, the design and planning of infrastructure is often gender-biased and does not consider relevantly the specific needs of half of the population - women and girls. Often, in the preparation of infrastructure projects, the needs of women are neglected, which subsequently creates challenges in everyday life, in the direction of women's economic independence, education and health.

Based on the failures from the past and experiences in different parts of the world, the fundamental need of the water supply and wastewater program of the semi-urban centers and villages of Ajara is to have an active participation of each member of the settlement. In order to create and support equal opportunities, an important role is given to women during all awareness, community mobilization and other social activities of the program. When organizing meetings, the active participation of women is always emphasized, as women are the main users of water and waster services in their homes, cleaning, and cooking and are usually taking care of hygiene and health matters of their family.

In order to support gender equality, the main rule for the establishment of village user group councils formed in the program villages was the appropriate representation of women in the board of the Village User Groups. The issue of gender equality is also taken into account at the next stage of the program's selection of candidates for the staffing of the municipal utilities: half of the employed personnel will be women.

In order to ensure the universal and sustainable functioning of the infrastructure and the proper integration of women and men needs in the program, the active consideration of women's needs in the municipal utilities and the Village User Group Boards will continue in the future by active participation of as many women as possible in the program.



GENERAL INFORMATION ABOUT THE PROGRAMME

"Rural Water Supply and Wastewater Programme-Ajara" is co-financed by the German Federal Republic Government through the KfW Development Bank and by the European Union.

The Programme aims to create modern standard water supply and wastewater treatment systems in all municipalities of Ajara.

"Rural Water Supply and Waste Water Programme-Ajara" is being implemented by the JSC "Ajara Water Alliance".

The mentioned Programme will have an essential contribution to the improvement of the level of life, health and the hygiene in general for the citizens of the villages in Ajara as the Programme will keep the environment safe through avoiding contamination and pollution of the environment and water bodies by directly discharged effluent.

The content of the Programme "Rural Water Supply and Wastewater Programme-Ajara" is unique in Georgia with its potential to influence the water supply and wastewater infrastructure development in the villages of the region.



FICHTNER



This newsletter has been produced with the assistance of the European Union and KfW Development Bank. Its contents are the sole responsibility of Ajara Water Alliance JSC and do not necessarily reflect the views of the European Union and KfW Development Bank.

1, K. Gamsakhurdia str., Batumi, Georgia
+995 422 27 86 86
info@awa.ge
www.awa.ge